ოთხი ბურთი თასის მფლობელის კარში

ფეხბურთის მოყვარულნი ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გამოჩენას მოედანზე. საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერისაგან ისინი მოელოდნენ მაღალი კლასის ფეხბურთის ტემპიან, გააზრებულ თამაშს.

მოლოდინი გამართლდა. 14 ივნისის შეხვედრაში გასული წლის თასის მფლობელთან მოსკოვის "ტორპედოსთან" თბილისელებმა ითამაშეს მონდომებით, გეგმიანად.

თამაში უკიდურესად მაღალ ტემპში დაიწყო. ორივე გუნდის მოთამაშეები სრული სისწრაფით მოძრაობდნენ მოედანზე. ბურთი მხოლოდ წამით ჩერდებოდა რომელიმე სექტორში და გამუდმებით ინაცვლებდა ადგილს კარიდან კარამდე.

პირველი რეალური საფრთხე "ტორპედოს" კართან შეიქმნა. ღოღობერიძის გარღვევის შემდეგ ჯერ სამოხინმა (№4) თავით ოდნავ ააცილა ბურთი თავის კარს, ხოლო შემდეგ კ. გაგნიძის (№8) დარტყმულმა ბურთმა ზევიდან გადაუარა კარს. ამის შემდეგ მახარაძემ ორჯერ ღრმა რეიდი გააკეთა მოწინააღმდეგის "ზურგში", მაგრამ დრიბლინგით გატაცებულს ორჯერვე "დაავიწყდა" დროზე მოეხდინა გადამწყვეტი დარტყმა.

მალე საფრთხეში თბილისელთა კარი აღმოჩნდა – ვაცკევიჩმა (№7) ცენტრში გადაინაცვლა და თავისუფალ ადგილას მარჯვენა ფლანგზე სოლომატინი (№5) აღმოჩნდა. ძლიერად დარტყმული ბურთი მარღანიამ სხარტი ნახტომით აიღო.

22–ე წუთზე კალოევი (№9) სწრაფად გაიჭრა მარცხენა ფრთაზე და კარგად მიაწოდა ცენტრში. ვარდიმიადიმ (№11) ვერ მოუსწრო ბურთს, მაგრამ სიხარულიძე (№7) იქვე აღმოჩნდა და ცარიელ კარში გაგზავნა იგი – 1:0.

გატანილი ბურთის შემდეგ დინამოელებმა შესამჩნევად გამოაკეთეს თამაში. ღოღობერიძე ზედიზედ შესანიშნავად გადის "ტორპედოს" კართან. ერთ–ერთი ასეთი გარღვევისას იგი საჯარიმო და პირითი ხაზების გადაკვეთის მახლობლად წააქციეს. საჯარიმო დარტყმა. თბილისელთა კაპიტანმა გაითამაშა ფეხბურთის პრაქტიკაში იშვიათი, მაგრამ მეტად ეფექტური კომბინაცია. მაშინ, როცა "დინამოს" თავდამსხმელთაგან ზოგი ჩაკეტილი იყო, ზოგიც ხელსაყრელ ადგილს ეძებდა, ღოღობერიძემ ბურთი უკან, თავისუფალ ადგილზე ცენტრიდან უსწრაფესად საჯარიმო მოედნისაკენ გაჭრილ ელოშვილს (№2) გადააწოდა, რომელმაც თავისუფალ ადგილზე 15 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით სტუმრების ბადე მეორედ შეარხია.

მეორე ნახევარში ტემპი შედარებით დაეცა, მაგრამ თამაში მაინც საინტერესო, დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. მომძლავრებული ქარი ხშირად უშლიდა მოთამაშეებს ჩანაფიქრის განხორციელებას. მაგრამ მალე კომბინაცია – კალოევი–ღოღობერიძე–ვარდიმიადი – მესამე გოლით დამთავრდა. ამ უკანასკნელმა მეკარისაგან შორ კუთხეში ზუსტად გაგზავნა ბურთი.

გონგის შემდეგ "ტორპედოს" მეკარემ მიხაილოვმა მეოთხე ბურთი გამოიტანა კარიდან. კალოევი კარგად გაიჭრა კართან და გაიტანა კიდევ ბურთი. თბილისელებმა ანგარიშით 4:0 მოიპოვეს დამსახურებული გამარჯვება.

ამავე გუნდების დუბლიორთა შეხვედრაში გაიმარჯვეს ტორპედოელებმა – 2:1.

რ. ქორიძე.

"ლელო", 14 ივნისი, 1953 წ.